

23/02/2026



MES 0 26 0000207189

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 13 თებერვალს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87672506647>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ანა აროშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენთიაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში–ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვალერი ჯაჯანიძე
თაბუკა ციმიტია
ნანა ხითარიშვილი
თამარ ძველია
ხათუნა მაისაია
მზია ბაკურიძე
ირმა წამალაძე
მაია ხურცილავა
ირმა არსენაშვილი
თამარ ახალაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

დირექტორი - თეიმურაზ ასათიანი

ხარისხის მართვის მენეჯერი - თეა ჩხიკვაძე

ხარისხის მართვის სპეციალისტი - ნანა ბატიაშვილი

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი - თეონა ხუფენია

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი - მანანა სამუშია

პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - ქეთევან ლომია

პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის უფროსი - მანანა ჭანტურია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ;
2. „სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №589531 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დამსწრეებს გააცნო სხდომის თავდაპირველი დღის წესრიგის პროექტი, რომელიც სამ განსახილველ საკითხს მოიცავდა. მან ისაუბრა დღის წესრიგის პროექტიდან მეორე საკითხის – „სსიპ კასპის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №589531 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ – ამოღების თაობაზე. ცვლილების საფუძვლად დასახელდა დაწესებულების მიერ ცენტრში დამატებით წარმოდგენილი განაცხადი სხვა პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული საკითხების გაერთიანება და საბჭოს სხვა სხდომაზე ერთობლივად განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, დაადასტურა აღნიშნული გარემოება და აღნიშნა, რომ პროცედურული ეფექტურობის მიზნით მიზანშეწონილია კასპის კოლეჯის საკითხის მიმდინარე დღის წესრიგიდან ამოღებას.

განახლებული დღის წესრიგი:

1. „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნანი დალაქიშვილს და სთხოვა, წარმოედგინა აღნიშნული საკითხი.

ნანი დალაქიშვილმა დააზუსტა საბჭოსთან გაგზავნილი გადაწყვეტილების პროექტში არსებული უზუსტობა და აღნიშნა, რომ ცვლილება შედის არა 2025 წლის 24 ივნისის №740259, არამედ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 პირ გადაწყვეტილებაში, ისე, როგორც მითითებულია დღის წესრიგში მისი განმარტებით, ცენტრის მიდგომაა, რომ ყველა ცვლილება აისახოს ძირ გადაწყვეტილებაში, ხოლო განხორციელებული ცვლილებების დინამიკა თანდართულ ფაილში დაფიქსირდეს.

ცვლილებები შეეხო ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ახალ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები:

პროგრამის სახელწოდება - „ელექტრობა“

განხორციელების ადგილები: დაბა სტეფანწმინდა, ვ. ფიცხელაურის ქ. N13; მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66** კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **კოოპერაციული** მიდგომით.

პროგრამის სახელწოდება - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

განხორციელების ადგილები: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21; მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **55** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **70** კრედიტი
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებული** მიდგომით.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლას დაასრულებენ პროგრამის ძველი რედაქციის შესაბამისად, ხოლო 2026 წლის მიღებიდან ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას გააგრძელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი რედაქციის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია პროფესიული პროგრამების დისტანციურად სწავლების წესი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №143/ნ ბრძანების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს დისტანციური სწავლების პროცესის ეტაპები, ჩართულ პირთა პასუხისმგებლობები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი და დაწესებულებას არ მოუმართავს ცენტრისთვის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, განხორციელოს სასწავლო პროცესი დისტანციური ფორმით. მოდულების დისტანციურად განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი წესის შემუშავებასა და ცენტრში დადგენილი წესით წარდგენას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" და "ელექტრობა" პარამეტრებში. გადაწყვეტილების 1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

მეორე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 ნოემბრის №1634161 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22-27 დეკემბერს მისამართებზე: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 და ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში მიმდინარეობდა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა „ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, დებულებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, უსდ-ს შენობა-ნაგებობების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის, სტუდენტური სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კურსდამთავრებულთა დასაქმება

უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიული რეალიზება და მათი დასაქმების აქტიური მხარდაჭერა. ამ მხრივ, დაწესებულებაში საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა საკუთარი კურსდამთავრებულების ინსტიტუციურ სტრუქტურებში ინტეგრირება, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მიერ გაცემული პროფესიული განათლების ხარისხსა და ნდობას.

დაწესებულება გამოირჩევა კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობითა და შიდა რესურსების განვითარებით, კერძოდ, უნივერსიტეტის ბაზაზე დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო მაჩვენებელი 30-ს აღწევს. აქედან 18 პირი უშუალოდ პროფესიული კვალიფიკაციის საფუძველზეა დასაქმებული ზუგდიდისა და სენაკის ბაზებზე, მათ შორის წამყვან პოზიციებზეც.

ზუგდიდის ბაზაზე დასაქმებულია სულ 10 კურსდამთავრებული, აქედან 3 კურსდამთავრებული იკავებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციას IT მიმართულებით, ხოლო ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებულია 7 პირი, მათ შორის: 5 სპეციალისტი IT მიმართულებით (მათგან 3 ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულია); 1 მონიტორინგის სპეციალისტი; 1 მატერიალური რესურსების განყოფილების უფროსი.

სენაკის ბაზაზე დასაქმებულია სულ 8 კურსდამთავრებული: აქედან 4 კურსდამთავრებული იკავებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციას IT და აგრარული მიმართულებებით, ხოლო ადმინისტრაციული პოზიციაზე დასაქმებულია 7 პირი, მათ შორის: 1 სპეციალისტი IT მიმართულებით; 4 სპეციალისტი აგრარული მიმართულებით; 1 სენაკის პროფესიული განათლების ცენტრის უფროსის მოადგილე.

პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

დაწესებულებას საპილოტედ შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რაც ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტის განხორციელებას როგორც რეალურ გარემოში, ასევე დისტანციური ფორმით; პლატფორმა ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების განთავსებას, ვალიდაციასა და შეფასების სისტემის განხორციელებას, რაც ხელ შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და ინსტრუმენტების დადასტურებისა და შენახვის გაციფრულებას.

elearn.zssu.edu.ge - ვებგვერდზე პროცესი აწყობილია Moodle - ღია კოდის მქონე სასწავლო პროცესის მართვის სისტემაზე. სატესტოდ სისტემა აეწყო საზიარო ჰოსტინგზე, პილოტირების პროცესის წარმატებულად გავლის შემდეგ იგეგმება ლოკალურ სერვერზე გადატანა, გარე დაშვებებითურთ.

დაწესებულებამ წარმოადგინა საპილოტე პროექტი და მისი განხორციელების მიზანშეწონილობა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა საუკეთესო პრაქტიკად; კერძოდ, წარმოდგენილი პროექტი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სრულად და ხარისხიანად წარმართვას; შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესი გამჭვირვალეა და გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტი; შეფასების ინსტრუმენტების შენახვა ხდება შესაბამის საცავში; გათვალისწინებულია უწყისის წარმოების წესი და შეფასების სისტემა სრულადაა გაციფრულებული, რაც ხელს შეუწყობს მოქნილობასა და ერთი ფანჯრის პრინციპს; ასევე, გათვალისწინებულია შეფასების სიტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეზოსტნეობა“ მოიცავს ბიოწარმოებასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ბიოწარმოებაზე, მისი მოწყობის წესებზე და ნიადაგის დამუშავებაზე ძირითადად თეორიულ ჭრილში. პრაქტიკულად ბიოწარმოების ნაკვეთის მოწყობის ვალდებულება არც პროგრამით არის გათვალისწინებული და ამ ეტაპისათვის საკანონმდებლო რეგულაცია (ამოქმედდება 2027 წელს) ამოქმედებული არ არის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეზოსტნეობა“

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამის განმახორციელებლების ინიციატივით მოწყობილი ბიოწარმოების ნაკვეთი. აღნიშნული ფაქტი საუკეთესო პრაქტიკაა, რადგანაც აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ბიოწარმოების ნაკვეთის მოწყობის პრინციპებზე განვითარონ პრაქტიკული უნარები; რეგულაციის ამოქმედებისას აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები სრულად მომზადებული შეხვედებიან ახალ მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გარემოება ჩათვალა საუკეთესო პრაქტიკად.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

5.1.2.1 სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. სენაკში, მშვიდობის ქ-№192 ში არსებულ შენობა-ნაგებობებში, რომელიც გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, არ არის წარმოდგენილი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის სასაწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის გეგმა“. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების და შსს-ს შესაბამისი უწყებიდან სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მისაღებად ვადა განსაზღვრულია 2026 წლის 25 ივნისამდე.

დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

განმავითარებელი რეკომენდაციები

1.2.1.1 რეკომენდებულია დაწესებულებამ შესრულებული სამუშაოების გადახედვისა და ანალიზის საფუძველზე სწორად და დროულად განსაზღვროს SWOT ანალიზი.

2.2.1.5. რეკომენდებულია „მეზოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ მოდულების სასწავლო რესურსის (ლიტერატურა) ჩამონათვალში ასახოს მის საკუთრებაში არსებული უახლესი სასწავლო რესურსი.

3.2.1.1. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ დამუშავდეს და განხორციელდეს სტუდენტური თვითმართველობის მიერ ექსტრაკურსული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში პროფესიული სტუდენტების ჩართულობის მექანიზმი.

4.2.1.1. „ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, წახალისების, მოტივაციის, განვითარების, სამუშაო პირობების გაუმჯობესების სტრატეგიისა და პროგრამების“ დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ დაწესებულება პერიოდულად ატარებს პერსონალის საჭიროებების კვლევას. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელ დოკუმენტში პერსონალის საჭიროების კვლევის ჩატარების პერიოდის დაკონკრეტება, რაც ხელს შეუწყობს პროცესის სისტემატურობასა და გამჭვირვალობას.

პირველი სტანდარტის მიმოხილვა

უნივერსიტეტის მისიაა შექმნას ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული ახალი ცოდნა და დასაქმების გარემო. სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით, კვლევის შედეგების გამოყენებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროექტებით, ინოვაციების გაზიარებით წვლილი

შეიტანოს რეგიონის თანმიმდევრულ, წარმატებულ და სტაბილურ განვითარებაში, დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე.

უწყვეტი სწავლის პრინციპით მოამზადოს/გადაამზადოს/მოიზიდოს დემოკრატიულ და ტოლერანტულ მიდგომებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრი, საზოგადოების აქტიური წევრი, რომელიც პოზიტიურად გაუმკლავდება სამომავლო გამოწვევებს.

როგორც განათლების სფეროში რეგიონულმა ცენტრმა, ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, მუდმივად უზრუნველყოს ხარისხი, ჩართულობა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე ჯგუფისთვის მდგრადი, გონიერი და ინკლუზიური განვითარებისთვის.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამქომედო გეგმები, მათი შესრულების შუალედური ანგარიშები და ანალიზი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ითვალისწინებდა სტრატეგიული და სამოქმედი გეგმების გაზიარებისა და უკუკავშირის გათვალისწინების ასპექტებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდა ძირითადი შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნებიდან.

დაწესებულების ხედვა: 2030 წლისათვის სასწავლო უნივერსიტეტი არის განათლების რეგიონული ჰაბი, რომელიც უწყვეტი სწავლის პრინციპით პასუხობს სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხელს უწყობს კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებასა და ინტერნაციონალიზაციას, სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და დაინტერესებულ მხარეთა მაღალი სანდოობით.

მესამე სტანდარტის მიმოხილვა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს მათ ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას, რიგ შემთხვევებში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებული იყო ცალკეული მაგალითებიც.

დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულირდება უნივერსიტეტისა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც რეგულაციის თანახმად ერთთვიანი დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას ინ. გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით;

უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში. კონსულტირებაში ჩართული არიან ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია, მხარდამჭერი და თბილი გარემოა. კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

დაწესებულების სტუდენტურ სერვისებზე პასუხისმგებელი პირის კოორდინირებითა და ჩართულობით ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც ხაზს უსვამს დაწესებულების ძლიერ მხარეს, ექსტრაკურსულური ღონისძიებების დაგეგმვას სტუდენტების ჩართულობით და მათი ინიციატივების გათვალისწინებას; სტუდენტურ სერვისებზე პასუხისმგებელ პირთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს არაფორმალურ აქტივობებს და ამით ხელს უწყობს რეგიონში სოციალური, პიროვნული, გენდერული და ეთნიკური მიმართულებების განვითარებას.

მეოთხე სტანდარტის შეფასება

მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს და ადგენს პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტის შინაგანაწესი არის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და პერსონალი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება შინაგანაწესის დებულებებს.

დაწესებულებაში წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომელთა შედეგების ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ დაწესებულება იცავს დასაქმებულ პირთა უფლებებს.

უნივერსიტეტში პერსონალის შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტის თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში - მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით. შერჩევის წესს, ფორმას და პირობებს (რომელიც ასევე მოიცავს საჭიროებისამებრ, შერჩევის კომისიის განსაზღვრას) ვაკანსიის გამოცხადებამდე, სამუშაო ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

პერსონალის პირადი საქმეებში განთავსებულია განათლების, სამუშაო გამოცდილების, დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV, არსებობის შემთხვევაში სათანადო სერტიფიკატები, შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობები უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის არქონისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

პერსონალის შეფასებისთვის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მეთოდები (მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ). შეფასების პროცესის კოორდინირება უნდა განახორციელოს რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა შეფასების ჯგუფმა.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ხარისხის სამოქმედო გეგმის ფარგლებში პერიოდულად ატარებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას, რის დასტურადაც წარმოდგენილია გამოკითხვის მასალები და ანალიზის დოკუმენტები.

ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის სამსახური პერიოდულად ატარებს მათ გამოკითხვას ელექტრონული კითხვარების მეშვეობით. უნივერსიტეტის მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალის ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები და პერსონალის განვითარების გეგმა.

პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მოტივაციის გაზრდისა და წახალისების მიზნით, არსებობს დასაქმებული პერსონალის როტაციის პრაქტიკა. უნივერსიტეტის დასაქმებულთაგან რამდენიმე პირი სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა.

მეხუთე სტანდარტის მიმოხილვა

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

უნივერსიტეტის მფლობელობაშია ქ. ზუგდიდში სიმონ ჯანაშიას ქ. № 14-17-ში 28168 მ2 ფართობზე განლაგებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 6063,8 მ2, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. უსდ-ს სენაკის ბაზა მოიცავს დაახლოებით 22 ჰა. სასწავლო და სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებს, მასზე განთავსებული 2197,7 მ2 შენობა-ნაგებობით (სასწავლო კორპუსი) და 567,9 მ2 ფერმას, რომელიც გამოყენებულია სასწავლო და სამეურნეო მიზნებისთვის.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, გარდა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულისა;

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულების ზუგდიდის ლოკაციაზე მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები; სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. სენაკში, მშვიდობის ქ-№192 ში არსებულ შენობა-ნაგებობებში, რომელიც გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, არ არის წარმოდგენილი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის გეგმა“, რომელიც მოიცავს ამ მიმართულებით შესასრულებელ და უკვე შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალს, გეგმის შესაბამისად არსებული მდგომარეობით დარჩენილია მხოლოდ ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართვასთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლის შემდგომაც უსდ-ს მიერ განხორციელდება შსს-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულზე

მიმართვა, წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების და შსს-ს შესაბამისი უწყებიდან სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მისაღებად ვადა განსაზღვრულია 25.06.2026 წ.

დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, გარდა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულისა.

უნივერსიტეტში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას; აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით;

უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს უსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა უნივერსიტეტის მიმდინარე პროფესიულ სტუდენტთა და სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების მონაცემები.

მეორე (საგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტის ზოგადი მიმოხილვა

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად და სრულფასოვნად განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია ყველა საჭირო რესურსი - მათ შორის მატერიალური ბაზა, თანამედროვე ელექტრონული საშუალებები და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი. ეს ჰქმნის მყარ საფუძველს იმისა, რომ წარმოდგენილი ყველა პროგრამა მაღალი ხარისხით განხორციელდეს.

კოოპერაციული მიდგომით განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დასტურდება მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან; ასევე დადასტურებულია გამტარუნარიანობა.

ვალერი ჯაჯანიძემ წარმოადგინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები ქ. ზუგდიდის და ქ. სენაკის ლოკაციებზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა–„საფინანსო სერვისები“

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ (0412) ხორციელდება ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №14-სა და ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ ლოკაციაზე განისაზღვრა 40 სტუდენტით. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 56-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 71-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები). მისი განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1)

განხორციელდა მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი საფინანსო სერვისები/Finance services (სარეგისტრაციო ნომერი 04117-3). პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 07 მარტის №10 დადგენილებით, მოდიფიცირებულია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 2 სექტემბრის №42 დადგენილებით.

ზუგდიდის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი AB გარემო (103 აუდიტორია, მეორე კორპუსში). აუდიტორია გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნული აუდიტორია უზრუნველყოფს ორ ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას. ზუგდიდში პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ხუთი დარგობრივი მოდულის, ათი ზოგადი მოდულის და ორი არჩევითი მოდულის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სს „ლიბერთი ბანკთან“ (40 პროფესიული სტუდენტი), შპს „ზუგდიდი მოლთან“ (20 პროფესიული სტუდენტი) და შპს „მინისოსთან“ (20 პროფესიული სტუდენტი).

სენაკის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას ასევე გამოყოფილი აქვს ერთი AB გარემო (207 აუდიტორია), რომელიც გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე და უზრუნველყოფს ორ ცვლაში 40 სტუდენტის გამტარუნარიანობას. აღნიშნულ მისამართზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პირი (ხუთი დარგობრივი, ათი ზოგადი და ორი არჩევითი მოდულის განმახორციელებელი). პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად, სენაკში დაწესებულებას გრძელვადიანი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სს „ლიბერთი ბანკთან“ (40 პროფესიული სტუდენტი) და შპს „მარი XXI“-თან (20 პროფესიული სტუდენტი).

ექსპერტის დასკვნით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები (2.2) სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს და პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაქტობრივი ბიუჯეტით. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება (2.3) ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევასა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების (2.4) მიმართულებით დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას (მათ შორის „Alta“-ს დემო ვერსიას), ხოლო შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და მოიცავს ვერიფიკაციის ქმედით მექანიზმს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა–„საექთნო საქმე“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ (0913) ხორციელდება ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №14-სა და ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ზუგდიდის ლოკაციაზე განისაზღვრა 63-ით, ხოლო სენაკის ლოკაციაზე – 60-ით. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 180-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 210-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები). მისი განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1) განხორციელდა მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი (09109-3) და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს №42 დადგენილებით, მოდიფიცირებულია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის №42 დადგენილებით.

ზუგდიდის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი A გარემო (თითოეული გათვლილია 22 პროფესიულ სტუდენტზე) და ერთი B გარემო/კომპიუტერული კლასი 21 სამუშაო ადგილით. პროგრამის განხორციელებაში ამ მისამართზე ჩართულია 24 პირი (რვა ზოგადი და 16 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი). დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს კლინიკების ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალთან (49 პროფესიული სტუდენტი), რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოსა (14 პროფესიული სტუდენტი) და შპს „სენაკის ფსიქიკური მედიცინის ცენტრთან“ (21 პროფესიული სტუდენტი).

სენაკის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის, ასევე, გამოყოფილია ორი A გარემო (თითოეული გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე) და ერთი B გარემო 20 სამუშაო ადგილით. აღნიშნულ მისამართზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 პირი (რვა ზოგადი და 26 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი). სენაკში კლინიკური პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ხელშეკრულებებია გაფორმებული შპს სენაკის „არქიმედეს კლინიკასთან“ (40 პროფესიული სტუდენტი), შპს მრავალპროფილურ კლინიკა „სენამედთან“ (40 პროფესიული სტუდენტი) და შპს „სენაკის ფსიქიკური მედიცინის ცენტრთან“ (21 პროფესიული სტუდენტი). ორივე ლოკაციაზე პრაქტიკის ინსტრუქტორთა თანაფარდობა პროფესიულ სტუდენტებთან დაცულია (1/7), ხოლო პროგრამას ხელმძღვანელობს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ორი პირი (ექიმი და ექთანი-ტრენერი).

ექსპერტის დასკვნით, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსები (2.2) სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება (2.3) რეგულირდება მოქმედი წესით, რის საფუძველზეც, მაღალი მომართვიანობის გამო, უკვე გაიზარდა კვოტები და განახლდა ლიტერატურა. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების (2.4) მიმართულებით დადასტურდა, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე მეთოდებითა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და მუშაობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მკაცრი მექანიზმების დაცვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (0916) ხორციელდება ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №14-სა და ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ ლოკაციაზე განისაზღვრა 60 სტუდენტით. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 123-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 153-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები). მისი განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1) განხორციელდა მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ შემუშავების საფუძველია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტი ფარმაცია (სააფთიაქო)/Pharmacy (09110-პ). პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის №34 დადგენილებით, მოდიფიცირებულია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 2 სექტემბრის №42 დადგენილებით.

ზუგდიდის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A/C ტიპის სასწავლო და ლაბორატორიული გარემო (109-ე აუდიტორია), B ტიპის (104-ე აუდიტორია) და C ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო

ინვენტარითა და სიმულაციური ავთიაქის ბაზით. სასწავლო სივრცე უზრუნველყოფს სტუდენტთა ორ ცვლაში გამტარუნარიანობას. ზუგდიდში პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ავერსი-ფარმასთან“, რომელიც ერთდროულად 60-მდე პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს.

სენაკის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას ასევე გამოყოფილი აქვს A/C ტიპის იმიტირებული და ლაბორატორიული გარემო (302-ე და 109-ე აუდიტორიები), B ტიპის (207-ე აუდიტორია) და C ტიპის სივრცეები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებს. აღნიშნულ მისამართზეც პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პირი. სენაკში კლინიკური პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, ისევე როგორც ზუგდიდში, გრძელვადიანი ხელშეკრულებაა გაფორმებული შპს „ავერსი-ფარმასთან“, რაც სრულად ფარავს პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები (2.2) სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს და პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაქტობრივი ბიუჯეტით. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება (2.3) ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ (76%) მაჩვენებელს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების (2.4) მიმართულებით დადასტურდა, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სიმულაციური მეთოდების ინტეგრაციით, ხოლო შეფასების სისტემა არის ობიექტური, გამჭვირვალე და მოიცავს ვერიფიკაციის ქმედით მექანიზმს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „სკოლამდელი აღზრდა“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ (0112) ხორციელდება ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №14-სა და ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ ლოკაციაზე განისაზღვრა 60 სტუდენტით. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 150-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები). მისი განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1) განხორციელდა მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ შემუშავების საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის №34 დადგენილებით, მოდიფიცირებულია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 2 სექტემბრის №42 დადგენილებით.

ზუგდიდის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო (№107 აუდიტორია) და ერთი B გარემო (№103 აუდიტორია), რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. ზუგდიდში პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პირი (9 დარგობრივი, 3 ზოგადი, 1 არჩევითი და 1 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი). დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრთან“ (20 სტუდენტი).

სენაკის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას ასევე გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო (№307 აუდიტორია) და ერთი B გარემო, რომლებიც აღჭურვილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნულ მისამართზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პირი (8 დარგობრივი, 3 ზოგადი, 1 არჩევითი და 1 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი). სენაკში პრაქტიკის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებაა გაფორმებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებასთან“ (20 სტუდენტი).

ექსპერტის დასკვნით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები (2.2) სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს და პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება (2.3) ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევასა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს (მოდულიცირების პროცესში განახლდა ლიტერატურა და საათების გადანაწილების სქემა). სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების (2.4) მიმართულებით დადასტურდა, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე მეთოდებითა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური და მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა—„ბუღალტრული აღრიცხვა“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (0411) ხორციელდება ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №14-სა და ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ ლოკაციაზე განისაზღვრა 40 სტუდენტით. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 99-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 129-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები). მისი განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1) განხორციელდა მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავების საფუძველია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტი. პროგრამის ინიცირება დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას, რომელმაც სამეგრელოს რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის, აგროსექტორისა და საჯარო დაწესებულებების მხრიდან ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტებზე მაღალი დეფიციტი და მოთხოვნა გამოავლინა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლებაა და იგი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №12 დადგენილებით, ხოლო მოდიფიცირებულია 2025 წლის 2 სექტემბრის №42 დადგენილებით.

ზუგდიდისა და სენაკის ლოკაციებზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს კომბინირებული A/B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ტექნიკითა და ინვენტარით. სასწავლო სივრცეები გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, რაც უზრუნველყოფს ორ ცვლაში 40 სტუდენტის გამტარუნარიანობას თითოეულ მისამართზე. ორივე ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან რვა კითხულობს როგორც პროფესიულ, ისე ზოგად მოდულს, ხოლო ერთი - მხოლოდ ზოგადს. ვინაიდან პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, იგი არ საჭიროებს დამატებით საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები (2.2) სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს და პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია სათანადო ბიუჯეტით. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება (2.3) ეფუძნება ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმებს, რის საფუძველზეც მოდიფიცირებისას უკვე განახლდა სასწავლო ლიტერატურა და ნორმატიული აქტები. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების (2.4) მიმართულებით დადასტურდა, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, დაცულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ხოლო შეფასების სისტემა არის ობიექტური, გამჭვირვალე და მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა–„ბიბლიოთეკარი“

მეოთხე დონის არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბიბლიოთეკარი“ ითვალისწინებს საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას და ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით, ორ ლოკაციაზე: ზუგდიდსა და სენაკში. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა და დადებითად შეაფასა დაწესებულების მოთხოვნა თითოეულ მისამართზე 20 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განისაზღვრა 90 კრედიტით (62 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი მსმენელებისთვის, ქართული ენის მოდულების დამატებით, 120 კრედიტს (86 სასწავლო კვირა) შეადგენს. პროგრამა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და მოდიფიცირებულია აკადემიური საბჭოს უახლესი დადგენილებების საფუძველზე.

ექსპერტთა დასკვნის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულებაში დანერგილ მეთოდოლოგიასა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამის ინიცირება დაეფუძნა დასაქმების პლატფორმებისა და რეგიონული შრომის ბაზრის ანალიზს, რომელმაც გამოავლინა თანამედროვე კომპეტენციების მქონე კვალიფიციური ბიბლიოთეკარების მზარდი საჭიროება საჯარო, სასკოლო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებსა თუ არქივებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. საყურადღებოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო დოკუმენტი არ ითხოვს არჩევით მოდულს, რეგიონის სპეციფიკისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია რუსული ენის ოთხკრედიტიანი მოდულის ინტეგრირება, რაც კურსდამთავრებულთა კომუნიკაციურ უნარებსა და კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად ზრდის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალური და ადამიანური რესურსები მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს ორივე საგანმანათლებლო სივრცეში. ზუგდიდის ლოკაციაზე გამოყოფილია შესაბამისი აღჭურვილობის მქონე კომბინირებული სასწავლო გარემო და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს ცამეტ ათასამდე ეგზემპლარსა და ელექტრონულ კატალოგს (OPAC). პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად ზუგდიდში გაფორმებულია ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრთან. რაც შეეხება სენაკის ლოკაციას, იქაც მობილიზებულია შესაბამისი სასწავლო სივრცეები, ხოლო კოოპერაციული პრაქტიკისთვის პარტნიორობა აკავშირებთ მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრთან. თითოეულ ლოკაციაზე პროგრამას ემსახურება თორმეტი მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პერსონალის დატვირთვა მკაცრად რეგულირდება შრომის კოდექსით. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია და რენტაბელობის ზღვარი ათი პროფესიული სტუდენტით არის განსაზღვრული.

ექსპერტმა აღნიშნა პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმების ეფექტიანობა, რაც რეგულარულ უკუკავშირსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს ეფუძნება. სწორედ ამ მექანიზმების ამოქმედების შედეგად განხორციელდა პროგრამაში ბოლო მოდიფიკაცია, რომელიც საათების გადანაწილების სქემის ოპტიმიზაციას გულისხმობდა. სასწავლო პროცესი

მკაცრად მიჰყვება დამტკიცებულ გეგმას, სადაც სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ორმოც საათს არ აღემატება. სწავლების პროცესში აქტიურად ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები და დაცულია ინკლუზიური განათლების პრინციპები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური და ობიექტური, რომელიც ეყრდნობა შეფასების ინსტრუმენტების წინასწარ ვალიდაციასა და შემდგომ ვერიფიკაციას რისკების სისტემის გათვალისწინებით. შეფასების შედეგები კი, ფორმალური აღრიცხვის მიღმა, მიზნობრივად გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი აკადემიური და კარიერული განვითარების სტიმულირებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ვეტერინარია“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ (0841) ხორციელდება ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 45 სტუდენტით. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 150-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას და პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები) სრულ შესაბამისობაში შეაფასა.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი (2.1), რომელიც მეთოდოლოგიის სრული დაცვით წარიმართა. პროგრამის ინიცირება დაეფუძნა სამეგრელოს რეგიონის შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, რომელმაც აჩვენა, რომ რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობასა და მესაქონლეობას მისდევს, ფერმერული მეურნეობების განვითარების ფონზე კი ფიქსირდება კვალიფიციური ვეტერინარების მწვავე დეფიციტი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და იგი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 09 აგვისტოს №38 დადგენილებით, ხოლო მისი ბოლო მოდიფიცირება განხორციელდა 2025 წლის 02 სექტემბრის №42 დადგენილებით.

სენაკის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A/C და B ტიპის სასწავლო გარემოები (2.2). განსაკუთრებით აღსანიშნავია სრულად აღჭურვილი ლაბორატორიული კაბინეტი, რომელიც მოიცავს ქიმიურ სამუშაო მაგიდებს, გამწოვ კარადას, ნიჟარებსა და შესაბამის რეაქტივებს. პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების უზრუნველსაყოფად (C გარემო), უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს ისეთ მნიშვნელოვან პარტნიორებთან, როგორებიცაა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, შპს „ვეტები“, ცხოველთა სასაკლაო (ი/მ ნანა დიხამინჯია) და რეგიონში მოქმედი სხვა ვეტერინარული კლინიკები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 5 დარგის სპეციალისტი, რაც სრულად ფარავს პროგრამის მდგრადობისა და ხარისხის მოთხოვნებს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის ფინანსური სტაბილურობა მყარად არის უზრუნველყოფილი ვაუჩერული დაფინანსებით.

ექსპერტის დასკვნით, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმები (2.3) ეფექტიანად მუშაობს, რის საფუძველზეც ბოლო მოდიფიცირებისას უკვე განახლდა სასწავლო ლიტერატურა. სასწავლო პროცესის ორგანიზება (2.4) სრულად პასუხობს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, დაცულია უსაფრთხოების ნორმები და კვირეული დატვირთვა 40 საათს არ აღემატება. სწავლება მიმდინარეობს კოოპერაციული მიდგომით, რაც სტუდენტებს რეალურ სამუშაო გარემოში (მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვაქცინაციის პროცესებში ჩართულობით) პრაქტიკული უნარების გამომუშავების საშუალებას აძლევს. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ობიექტური, სამართლიანი და მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის გამართულ მექანიზმებს, რითაც

დასტურდება უნივერსიტეტის სრული მზაობა შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ვეტერინარების მოსამზადებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „მეზოსტნეობა“

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეზოსტნეობა“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი – 0811), რომლის მიზანია მეზოსტნეობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, ხორციელდება ქალაქ სენაკში, მშვიდობის ქუჩა №192-ში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმით და მასზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 ადგილს. პროგრამის კრედიტების მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60-ით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 75-ით განისაზღვრება. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას და დაადასტურა პროგრამის ყოვლისმომცველი შესაბამისობა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება განხორციელდა მოქმედი მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „სოფლის მეურნეობა“. აღნიშნული პროგრამა თავდაპირველად დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 09 აგვისტოს №38 დადგენილებით, ხოლო მისი ბოლო, აქტუალური მოდიფიცირება განხორციელდა აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის №42 დადგენილებით. საგანმანათლებლო პროცესის სტრუქტურირება და მიზანშეწონილობის დასაბუთება პირდაპირ ეხმიანება პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (TVET) თანამედროვე გამოწვევებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონული შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილებას ბოსტნეულის წარმოების მზარდ სექტორში და კურსდამთავრებულთათვის სტაბილური დასაქმების პერსპექტივების შექმნას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსული უზრუნველყოფის კუთხით, დაწესებულებას პროფესიული განათლების სენაკის ცენტრში გამოყოფილი აქვს შესაბამისი გარემო თეორიული სწავლებისთვის, კერძოდ 312-ე აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკითა და ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით. პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად შექმნილია უმაღლესი სტანდარტის იმიტირებელი სამუშაო გარემო, რომელიც მოიცავს როგორც ღია გრუნტის სასწავლო ნაკვეთს, ისე დახურულ გრუნტს ორი სპეციალიზებული სათბურის სახით. აღსანიშნავია სასწავლო პროცესში დანერგილი ინოვაციური მიდგომა, რაც გამოიხატება პედაგოგთა ინიციატივით მოწყობილი ბიოწარმოების ნაკვეთის არსებობით. პროგრამის სტაბილურ განხორციელებაში ჩართულია სულ 11 კვალიფიციური პირი, მათ შორის შვიდი ზოგადი მოდულების განმახორციელებელია, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის აქტიური და გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტი.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების, აგრეთვე სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით, სასწავლებელი გამოირჩევა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით და მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. ეს სტრატეგია ნათლად ვლინდება სასწავლო გეგმის კალენდარულ სტრუქტურაში, სადაც ინტეგრირებულია გარდამავალი შუალედური კვირები განმეორებითი შეფასებისა თუ აპელაციის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი პროგრამა იმიტირებულ სამუშაო გარემოში ხორციელდება, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებსა და საჯარო სკოლებთან კურსდამთავრებულთა სტაჟირების ეფექტიანი მხარდაჭერის მიზნით. შეფასების სისტემა გამყარებულია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის გამჭვირვალე და სანდო მექანიზმებით, ხოლო მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება

სტუდენტთა პროფესიული ზრდის წასახალისებლად, მათ შორის კონფერენციებსა და დამატებით აქტივობებში ჩასართავად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა–„ფერმერობა“

მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერობა“ (0811) ხორციელდება ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 30. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 90-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები). მათი დასკვნით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1) განხორციელდა მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფერმერობა“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და ჩარჩო დოკუმენტი „სოფლის მეურნეობა“. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის დადგენილებით, მოდიფიცირებულია - აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის №42 დადგენილებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას სრული ზოგადი განათლება წარმოადგენს და იგი ეფუძნება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის (მცხოვრელობა, ბოსტნეულობა) კვალიფიციურ კადრებზე არსებულ მკაფიო მოთხოვნას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსული უზრუნველყოფის კუთხით (2.2), დაწესებულებას ქ. სენაკის კორპუსში გამოყოფილი აქვს 107-ე აუდიტორია, როგორც B გარემო, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს ცენტრში არსებული სასწავლო სათბურები და ფერმა, სადაც პედაგოგებისა და ადმინისტრაციის ინიციატივით მოწყობილია ბიოწარმოების იმიტირებული C გარემო და საკომპოსტე სივრცე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ თოთხმეტი განმახორციელებელი პირი, მათ შორის შვიდი ზოგადი მოდულების მიმართულებით. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი. უნივერსიტეტში ასევე უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მექანიზმით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიმართულებით (2.3), სასწავლებელი აანალიზებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებულ მხარეთა (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვებს. ამის საფუძველზე პროგრამაში ინტეგრირდა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების წარმოების ტექნოლოგიების სწავლება. სასწავლო პროცესის ორგანიზება (2.4) ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც გამოიხატება სემესტრებს შორის გარდამავალი შუალედური კვირების არსებობით, სადაც სტუდენტებს განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის შესაძლებლობა ეძლევათ. ფორმალური სწავლების მიღმა, პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კარიერული განათლების კურსები, იდეათონები, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და დასაქმების ფორუმები. პრაქტიკის კომპონენტისა და სტაჟირების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია მემორანდუმები შესაბამის ორგანიზაციებთან. რაც შეეხება შეფასების სისტემას, იგი გამყარებულია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მკაცრი მექანიზმებით, მიღებული აკადემიური შედეგები კი მიზნობრივად გამოიყენება წარმატებული სტუდენტების შემდგომი განვითარებისთვის, მათ შორის პროფესიულ კონფერენციებში ჩასართავად და სტიპენდიების მოსაპოვებლად. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამის ყველა განხილული კომპონენტი სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით პერსონალის განვითარების კომპონენტთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა შეუსაბამობა დაწესებულების თვითშეფასებასა („მეტწილად შეესაბამება“) და ექსპერტთა შეფასებას („შეესაბამება“) შორის. ექსპერტებმა ვალერი ჯაჯანიძემ და ნანა ხითარიშვილმა განმარტეს, რომ დაწესებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს თვითშეფასებისას, თუმცა ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა სტანდარტთან სრული შესაბამისობა.

ელენე კაკაბაძემ ყურადღება გაამახვილა 5.1.2.1 კომპონენტზე, სადაც სენაკის ბაზაზე ვიდეოსიგნალიზაციის სისტემის არარსებობის გამო ექსპერტებმა დაწესებულება შეაფასეს „მეტწილად შესაბამისად“. ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ შესაბამისობის გეგმა დაწესებულებამ 26 დეკემბერს დაამტკიცა. ექსპერტის თქმით, ხარვეზი გამოწვეული იყო მომწოდებლის არაკეთილსინდისიერებით, თუმცა ვიზიტის პერიოდში სამუშაოები დასრულების ეტაპზე იყო. მსჯელობა შეეხო დაწესებულების SWOT ანალიზს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რადგან დაწესებულებამ სუსტ მხარეებში მიუთითა ის გარემოებები, რომლებიც რეალურად უკვე გამოსწორებული და გაძლიერებული იყო. რეკომენდაციის მიზანია მომავალში SWOT ანალიზის რეალურ ვითარებასთან მეტი თავსებადობა.

ელენე კაკაბაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს აკადემიური საბჭოს დადგენილებების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ მიუთითა სამართლებრივ ხარვეზზე, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გასაჩივრების ზემდგომ ორგანოდ მითითებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. თავმჯდომარის განმარტებით, ვინაიდან აკადემიური საბჭო არის უმაღლესი მართვის ორგანო, მისი აქტები მხოლოდ სასამართლო წესით საჩივრდება. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, გაითვალისწინოს რეკომენდაცია ჩანაწერის გასწორებისა და იურიდიული რისკების პრევენციის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის ვადით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0


გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 13 თებერვალი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 13:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დეალური)	დეალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	9
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა და მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დეალური)	დეალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დეალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დეალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	რძის პროდუქტების წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0721
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. №13
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. №13
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დეალური)	დეალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	10
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

პროგრამის სახელწოდება	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0721
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
